თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს
2013 წლის 27 სექტემბრის სხდომის ოქმი #10

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანის მოადგილე აკაკი მიქაბერიძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 27, სტუდენტები – 5, სულ – 32 წევრი.

დღის წესრიგი

1. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებისათვის ხარისხის მინიჭებების შესახებ;

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

2. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2008 წლის კურსდამთავრებულებისათვის მინიჭებული ხარისხის კორექტირების შესახებ;

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

3. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის დამტკიცება;

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

4. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სწავლის საფასურზე შეღავათის შესახებ;

   /სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი მ. ლობჟანიძე/

5. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე „საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის“ სასწავლო–სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის (კათედრის) შესახებ;

   /დეკანის მოადგილე ა. მიქაბერიძე/

6. მიმდინარე საკითხები.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ბატონმა ა. მიქაბერიძემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად იქნა დამტკიცებული.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებისათვის ხარისხის მინიჭებების შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა ნ. პაპაჩაშვილმა ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგინა საკითხი თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი კვალიფიკაციის მისანიჭებლად.

*ა) **„ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის“** აკადემიური ხარისხი მიენიჭოს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2012-2013 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს **იოსებ კობაიძეს** - დიპლომი ჩვეულებრივი (იხ. დანართი: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის უფროსი სპეციალისტის ლ. კაკულიას მიმართვა; 1 გვერდი);*

*ბ) **„ეკონომიკის ბაკალავრის“** აკადემიური ხარისხი მიენიჭოს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2012-2013 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს **შოთა გურულს** - დიპლომი ჩვეულებრივი (იხ. დანართი: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის უფროსი სპეციალისტის ლ. კაკულიას მიმართვა; 1 გვერდი);*

*გ) მიენიჭოს აკადემიური ხარისხი: **„ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში“** 2012-2013 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს (იხ. დანართი: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის უფროსი სპეციალისტის მ. ორაგველიძის ინფორმაცია):*

1. *ნიკოლოზ ყიფიანი - დიპლომი ჩვეულებრივი;*
2. *მარიამ ჯიქიძე - დიპლომი ჩვეულებრივი.*

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 32

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. მიენიჭოს **„ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის“** აკადემიური ხარისხი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2012-2013 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს
   იოსებ კობაიძე - დიპლომი ჩვეულებრივი;

2. მიენიჭოს **„ეკონომიკის ბაკალავრის“** აკადემიური ხარისხი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2012-2013 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს
შოთა გურული - დიპლომი ჩვეულებრივი.

3. მიენიჭოს აკადემიური ხარისხი: **„ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში“** 2012-2013 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს:

    1. ნიკოლოზ ყიფიანი - დიპლომი ჩვეულებრივი;
    2. მარიამ ჯიქიძეს - დიპლომი ჩვეულებრივი.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2008 წლის კურსდამთავრებულებისათვის მინიჭებული ხარისხის კორექტირების შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

ნ. პაპაჩაშვილმა აღნიშნა, რომ ეტაპობრივად მიმდინარეობს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2010 წლამდე (ვიდრე არ იქნა ამოქმედებული ახალი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #120/ნ, 10 დეკემბერი, 2010 წ.) კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული ხარისხების კორექტირება შესაბამისი დროისათვის მოქმედი რეგულაციის მიხედვით. 2008 წლის კურსდამთავრებულმა ნატალია კუხალაშვილმა დაკარგა დიპლომი და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას მიმართა დიპლომის აღდგენის თხოვნით. საჭიროა დიპლომის აღდგენასთან ერთად მინიჭებული ხარისხის გასწორება. მისთვის ხარისხის მინიჭება მოხდა 2009 წელს თსუ რექტორის 21/04-209 წლის 832/01-04 ბრძანებით და მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ტურიზმის მენეჯერის კვალიფიკაციით. ამჯერად უნდა მოხდეს როგორც აღნიშნული, ისე ბრძანებით გათვალისწინებული სხვა ხარისხების კორექტირება იმ დროისათვის მოქმედი რეგულაციის – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #633–ის მიხედვით. როგორც მოგეხსენებათ, ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი სწორდება როგორც ბიზნესის მართვის ბაკალავრის ხარისხი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #633–ის მიხედვით მოხდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებისათვის თსუ რექტორის 2009 წლის 832/01-04 ბრძანებით მინიჭებული ხარისხების კორექტირება:

1. *ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის (მენეჯერის კვალიფიკაცია) აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს <u>ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;</u>*

2. *ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის (მარკეტოლოგის კვალიფიკაცია) აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს <u>ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;</u>*
3. *ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის (ტურიზმის მენეჯერის კვალიფიკაცია) აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს <u>ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;</u>*
4. *ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის (წარმოების მენეჯერის კვალიფიკაცია) აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს <u>ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;</u>*
5. *ეკონომიკის მეცნიერების ბაკალავრის (ეკონომისტ-მათემატიკოსის კვალიფიკაცია, დიპლომი სპეციალობით - ეკონომიკური კიბერნეტიკა) აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს <u>სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.</u>*

აზრი გამოთქვა: სრ. პროფ. ქ. მარშავამ

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 32;
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: მინიჭებული ხარისხების კორექტირება განხორციელდეს წარმოდგენილი შესწორებების შესაბამისად.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის დამტკიცება;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

ნ. პაპაჩაშვილმა აღნიშნა, რომ შემოსულია თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თ. ვეფხვაძის წერილი (#4924/23; 4.09.2013, გვ. 2), რომლის თანახმადაც თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში წარდგენილ უნდა იქნეს ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე დამტკიცებული იმ საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელსაც ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ახორციელებს. პროგრამის ხელმძღვანელების პროფესორების ნ. ხადურის, დ. ნარმანიას, ნ. თოდუას, ე. მექვაბიშვილის, ი. კოვზანაძის, რ. გველესიანის, მ. მარგველაშვილის, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა) აღმასრულებელი დირექტორის ე. ლივნის მიერ შესაბამისი პროგრამების მიხედვით წარმოდგენილია პროგრამების მოკლე აღწერილობა კატალოგისთვის. ინფორმაცია პროგრამების შესახებ განთავსებულია ვებ-გვერდზე, რომელიც კატალოგისთვის მომზადდა პროგრამის ხელმძღვანელების მიერ, წარდგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 32;
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სწავლის საფასურზე შეღავათის შესახებ;

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი მ. ლობჟანიძე/

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსმა მ. ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ შემოსულია 2013 წელს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ჩარიცხული დოქტორანტების - ნ. ჩავლეიშვილის, ტ. ლომიას, ი. მურცხვალაძისა და ვ. ჭარაიას განცხადება, რომლებიც ითხოვენ სწავლის საფასურის 50%-ით შემცირებას. ნ. ჩავლეიშვილი არის ბუღალტერიისა და აუდიტის კათედრის ასისტენტი, ტ. ლომია - შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი სპეციალისტი, ირაკლი მურცხვალაძე და ვ. ჭარაია - რექტორის მრჩევლები.

აზრი გამოთქვა:

1. **სრ. პროფ. ქ მარშავა** - დადგენილებაში წერია, რომ შეღავათი სწავლის საფასურში მხოლოდ ფაკულტეტის თანამშრომლებს გაეწევათ. ხარჯვითი ნაწილის დამტკიცებისას ეს საკითხი მეტად სკურპულოზულად წყდება.
2. **სრ. პროფ. რ. გველესიანი** - მან აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება სწავლის საფასურის 50%-იანი შემცირების შესახებ მიღებულია 2010 წლის 19 ნოემბერს, სადაც აღნიშნულია, რომ მხოლოდ ფაკულტეტზე დასაქმებული დოქტორანტები მიიღებენ შეღავათს. მან დააყენა საკითხი აღნიშნულ დოკუმენტში ცვლილების განხორციელების შესახებ, რომელიც შეღავათით სარგებლობის უფლებას მისცემს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის იმ კურსდამთავრებულებსაც, რომლებიც მუშაობენ თსუ-ში და შემდგომ ისევ ფაკულტეტზე გააგრძელებენ მოღვაწეობას.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ ა. მიქაბერიძემ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს შესთავაზა უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის ან სხვა ფაკულტეტზე დასაქმებული და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხული დოქტორანტების სწავლის საფასურის შეღავათის საკითხის განხილვა მოიხდეს ინდივიდუალურ რეჟიმში. ეს შესაძლებელია მოხდეს პროგრამის ხელმძღვანელის შუამდგომლობის საფუძველზე.

უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად დოქტორანტზე სწავლის საფასურზე შეღავათის საკითხს წყვეტს ფაკულტეტის საბჭო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით. წარდგინება შესაძლებელია გაკეთდეს კონკრეტულ დოქტორანტზე ინდივიდუალურად და შეიძლება გაწეულ იქნას შეღავათი, როგორც თსუ-ს ფაკულტეტის თანამშრომელთათვის, ასევე არათანამშრომელთათვის, თუ ამას ფაკულტეტის საბჭო გადაწყვეტს. ფაკულტეტის თანამშრომელ დოქტორანტებს შესაძლებელია გაეწიოთ სწავლის საფასურში შეღავათი 50%-ის ოდენობით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა განსხვავებული მოსაზრებები. გადაწყდა, რომ ვინაიდან სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ითვალისწინებს კონკრეტულ დოქტორანტებზე ინდივიდუალურ რეჟიმში აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებას, ამჯერად კენჭისყრაზე დგება მხოლოდ ნ. ჩავლეიშვილის, როგორც ფაკულტეტის თანამშრომლის და დოქტორანტის სწავლის საფასურის 50%-ით შეღავათის საკითხი. სხვა დოქტორანტებთან მიმართებაში ამ საკითხის განხილვა პროგრამის ხელმძღვანელთა შუამდგომლობის საფუძველზე მოხდება.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 32;
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. მიეცეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტს ნ. ჩავლეიშვილს დოქტორანტურაში სწავლის საფასურზე შეღავათი 50%-ის ოდენობით;
2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებს, რომლებიც ასევე არიან თსუ-ს თანამშრომელები, სწავლის საფასურზე შეღავათი გაეწიოთ შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელის უშუალო წარდგინებისა და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე „საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის“ სასწავლო–სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის (კათედრის) შესახებ;

/დეკანის მოადგილე ა. მიქაბერიძე/

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ა. მიქაბერიძემ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს გააცნო განცხადება (# 6293/23,25.09.2013, გვ.1).

განცხადებაში აღნიშნულია, რომ თსუ-ში წლების მანძილზე არსებობდა საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრა, რომელიც ყოველგვარი ნორმატიული აქტის გარეშე გაუქმდა. განცხადების ხელმომწერნი: სრ. პროფ. რ. გველესიანი, ასოც. პროფ. ე. სეფაშვილი, ასოც. პროფ. ჯ.

ხარიტონაშვილი, ასისტ. პროფ. თ. ათანელიშვილი, ასოც. პროფ. ი. გოგორიშვილი, ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილი, ასოც. პროფ. ნ. პაპაჩაშვილი, ასოც. პროფ. თ.ზუბიაშვილი მიზანშეწონილად მიიჩნევენ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიერ საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრის აღდგენის საკითხს და ფაკულტეტის საბჭოსგან მხარდაჭერას ითხოვენ.

აზრი გამოთქვა:

1. **სრ. პროფ. რ. გველესიანი** - წლების მანძლზე აღნიშნულ კათედრას ლიდერის პოზიცია ეკავა. ამ კათედრის ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის კურსდამთავრებულთა სამეცნიერო მუშაობის შედეგები საკმაოდ შთამბეჭდავი იყო. 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ეკონომიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი, ვინც საზღვარგარეთ გააგრძელა სწავლა, სწორედ ამ კათედრაზე არსებული სპეციალობის კურსდამთავრებულებზე მოდიოდა. კათედრის აღდგენა წარმატების მომტანი იქნება არა მხოლოდ ფაკულტეტისთვის, არამედ მისი შედეგებით იამაყებს უნივერსიტეტი.

2. **ასოც. პროფ. ე. სეფაშვილი** - კათედრის აღდგენის საკითხი არაერთხელ დავაყენეთ ხელმძღვანელობის წინაშე, მაგრამ სამწუხაროდ განხილვის დონემდე არასდროს მივიდა. დიდ მადლობას მოგახსენებთ იმის გამო, რომ დღეს დღის წესრიგში დაისვა ეს საკითხი და იმედი მაქვს, რომ დადებითად გადაწყდება. მიმაჩნია, რომ ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკიდან და შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ამ კათედრის აღდგენა და ფუნქციონირება პირდაპირ კავშირში იქნება ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკასთან. უნივერსიტეტისთვის, რომელიც სახელმწიფოს პოლიტიკისა და მის წინაშე მდგომი ამოცანების გადაჭრის ავანგარდშია, კათედრის ფუნქციონირება მეტად მნიშვნელოვანი იქნება.

3. **ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილი** - საკმაოდ მნიშვნელოვანია აგრეთვე ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის მიმართულების განვითარება.

4. **სრ. პროფ. ს. გელაშვილი** - აღნიშნული კათედრის აღდგენის საკითხი რამდენჯერმე დაისვა და მე ყოველთვის ამის მომხრე ვიყავი. ვერ დაასახელებთ მსოფლიოს ვერც ერთ ნორმალურ უნივერსიტეტს, სადაც ეკონომიკის ფაკულტეტზე არ ფუნქციონირებდეს ანალოგიური კათედრა.

5. **ასოც. პროფ. ნ. პაიჭაძე** - მე მთლიანად ვეთანხმები ბატონი რეზოს, კოლეგების აზრს და მინდა მას ვკითხო: რადგან მოხდება კათედრის აღდგენა, ეს მოითხოვს სრული პროფესორის შტატის გამოცხადებას. ასევე ალბათ საჭირო იქნება დამატებითი შტატები, ამიტომ დღესვე უნდა მოვითხოვოთ: 1. კათედრის შექმნა; 2. გამოცხადდეს კონკურსი ერთ სრულ პროფესორზე და დანარჩენ შტატებზე, რამდენსაც თქვენ გადაწყვეტთ და ეთხოვოს რექტორატს აღნიშნულის დამტკიცება. თუ ჩვენ მხოლოდ კათედრის აღდგენას ვუყრით კენჭს, ამას ახალი სხდომები სჭირდება.

6. **სრ. პროფ. ქ. მარშავა** - დღეს უნდა მოვითხოვოთ არსებული საშტატო ერთეულებიდან მოდიფიცირება, მაგალითად გაერთიანება ორი ასისტენტ-

პროფესორის, ანდა ორი ასოცირებული პროფესორის შტატის. ხელახლა რომ არ მოგვიწიოს შეკრება, დღესვე უნდა გადავწყვიტოთ მეორე პუნქტად საშტატო ერთეულების დამატების საკითხი.

7. **ასოც. პროფ. ნ. პაიჭაძე** - არსებულ შტატების ფარგლებში ამან შეიძლება შეგვიშალოს ხელი, ამიტომ რექტორატს უნდა ვთხოვოთ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება და ამ საკითხთან დაკავშირებით მივცეთ მანევრირების საშუალება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა თვალსაზრისები ასოც. პროფ. ი ჭილაძის, სრ. პროფ. მ. ტუხაშვილის, სრ. პროფ. ნ. თოდუას მხრიდან.

სხდომის თავმჯდომარემ ა. მიქაბერიძემ აღნიშნა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულების შესაბამისად, სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების - კათედრების ჩამონათვალი მოცემულია ფაკულტეტის საბჭოს დებულების დანართში. ამჟამად ფაკულტეტზე არსებობს 13 სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეული - კათედრა. დღეს დაისვა საკითხი, რომ ამ ჩამონათვალს დაემატოს მე-14 სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეული - კათედრა, რომლის სახელწოდებაც იქნება: „საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრა“.

ასევე დაისვა საკითხი, რომ შესაბამისად კათედრის ფუნქციონირებისათვის ფაკულტეტის საბჭოს დებულებით აუცილებელია საშტატო განრიგით გათვალისწინებული აკადემიური პერსონალი - მინიმუმ 4 ერთეული და ამიტომ, გარკვეულწილად, რადგან ფაკულტეტზე მოქმედი საშტატო განრიგით 17 სრული პროფესორის შტატი ამჟამად შევსებულია და არ არის ვაკანტური ადგილი, ამიტომ უნდა მოხდეს საშტატო განრიგში ცვლილების ინიცირება, რომლითაც ფაკულტეტის საბჭო შემდეგ უკვე მიმართავს თსუ-ს ადმინისტრაციას - რექტორატს, აკადემიურ საბჭოს, წარმომადგენლობით საბჭოს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს პროცედურის შესაბამისად. მაგრამ პირველ რიგში უნდა დაისვას საკითხი აღნიშნული ერთეულის შექმნის შესახებ.

კენჭისყრაზე <u>პირველ პუნქტად</u> დადგა საკითხი: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე „საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრის“ შექმნის შესახებ.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 32
წინააღმდეგი – 0

სხდომის თავმჯდომარემ, ა. მიქაბერიძემ მეორე პუნქტი ჩამოაყალიბა შემდეგნაირად: ეთხოვოს თსუ ადმინისტრაციას (რექტორს, აკადემიურ საბჭოს, წარმომადგენლობით საბჭოს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს) განხორციელდეს ფაკულტეტის საშტატო განრიგის ცვლილება აკადემიურ

პერსონალთან დაკავშირებით და შესაბამისად დაიშვას სრული პროფესორის ვაკანსია.

ამ საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა სხვადასხვა თვალსაზრისები. საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ ფაკულტეტის საბჭო ვერ გადაწყვეტს, თუ რამდენი ასოცირებული პროფესორის შტატი იქნას დაშვებული. ეს უნდა მოხდეს დეკანის წარდგინებით. დისკუსიის შემდეგ გადაწყდა, რომ აღნიშნული საკითხის მეორე პუნქტი ჩამოაყალიბდეს შემდეგნაირად: ფაკულტეტის საბჭო მიმართავს თსუ-ს ადმინისტრაციას განახორციელოს საშტატო განრიგში შესაბამისი ცვლილებები.

კენჭისყრაზე <u>მეორე პუნქტად</u> დადგა საკითხი: ეთხოვოს თსუ-ს რექტორს, აკადემიურ საბჭოს, წარმომადგენლობით საბჭოს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს საშტატო განრიგში შესაბამისი ცვლილების განხორციელება.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 32
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შეიქმნას ახალი სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეული - კათედრა სახელწოდებით: „საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრა.“

2. აღნიშნული კათედრის აკადემიური პერსონალის უზრუნველყოფის მიზნით ეთხოვოს თსუ-ს რექტორს, აკადემიურ საბჭოს, წარმომადგენლობით საბჭოს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს საშტატო განრიგში შესაბამისი ცვლილების განხორციელება.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: **ა. მიქაბერიძე**

ფაკულტეტის სწავლული მდივანი,
ასოცირებული პროფესორი: **მ. ნაცვალაძე**